

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №12

ლანჩხუთი

12.11.2018 წელი
11.30 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – ვერიკო კვიციანი.

სხდომას ესწრებოდნენ: კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე.
არ ესწრებოდა: კახაბერ ასკურავა.

სხდომის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანი, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანი კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

წინააღმდეგი - 0

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ანგარიში წარადგინა ამავე სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან ყურადღება გაამახვილა სასამართლო პროცესების შედეგებზე. კერძოდ, აღნიშნა, რომ დასრულდა წინა გამგებლის ყოფილი მოადგილის გათავისუფლებასთან დაკავშირებული რეზონანსული საქმე, სადაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი, ხოლო უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი.

კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი დაინტერესდა მერიის ლეგალიზების კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებზე მოქალაქეების მხრიდან გასაჩივრების სტატისტიკით, რაზეც მერიის

იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ სულ წარმოდგენილი იქნა 10 სარჩელი, აქედან 20% დაკმაყოფილდა მოქალაქეთა სასარგებლოდ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ ცნობად იქნა მიღებული და დადებითად შეფასდა მერიის იურიდიული სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე:

3-2/3

ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

დასკვნა №12

ლანჩხუთი

12.11.2018 წელი

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

კომისიამ მოისმინა და დადებითად შეაფასა მერიის იურიდიული სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.


კომისიის თავმჯდომარე:



ვერიკო კვიციანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

12.11.2018 წელი
11:30 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვიციანი	11:00	3.9/2
2	კახა ბოლქვაძე	11:30	
3	გოდერძი ქურიძე	11:30	3.9/2
4	კახაბერ ასკურავა	ძ. ენუქიძე	3.9/2